სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესი

სამაგისტრო ნაშრომის მიზანი

სამაგისტრო ნაშრომი არის სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებული სამუშაო. მასში უნდა აისახოს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა და უნარ-ჩვევები.

სტუდენტმა სამაგისტრო ნაშრომში უნდა შეძლოს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მოძიება, უნდა გამოავლინოს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, ნაშრომში უნდა ჩანდეს, რომ სტუდენტს შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების გამოტანა, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი. ნაშრომში შემოქმედებითად უნდა იყოს გამოყენებული თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, დარგის თავისებურებების გათვალისწინებით.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა:

1. **თავფურცელი**

   1) უნივერსიტეტის დასახელება;
   2) მაგისტრანტის სახელი და გვარი;
   3) სამაგისტრო ნაშრომის სახელწოდება;
   4) სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება;
   5) მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი;
   6) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი – სახელი, გვარი, სამეცნიერო ხარისხი, წოდება, აკადემიური თანამდებობა;
   7) სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ადგილი;
   8) წელი.

2. **სარჩევი**

   სარჩევი მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის ანოტაციის, სრული ტექსტის, გამოყენებული ლიტერატურის და დანართების გვერდების ნომრებს.

3. **ანოტაცია**

   ანოტაციაში აისახება თემის აქტუალობა, მიზნები, ამოცანები, კვლევის საგანი, ობიექტი, ძირითადი შედეგები, სიახლე; შესრულების ენა: ქართული და ინგლისური.

4. **შესავალი**

   შესავალი წარმოადგენს ნაშრომის ზოგად ნაწილს, რომელშიც უნდა აისახოს თემის აქტუალობის დასაბუთება, მიზნები, დასმული ამოცანების შინაარსი, კვლევის მეთოდები, პრობლემის კვლევის ისტორია, ანუ არის თუ არა საკითხი დამუშავებული, ვის მიერ, როდის და რა კუთხით, შედარებითი ანალიზი - რით განსხვავდება მოცემული სამაგისტრო ნაშრომი წინა კვლევებისგან, საინფორმაციო რესურსები, სიახლე.

5. **ტექსტის ძირითადი ნაწილი**

   ტექსტის ძირითადი ნაწილი შეიძლება შედგებოდეს თავების, პარაგრაფების და ქვეპარაგრაფებისაგან.

   ტექსტის ძირითად ნაწილში ასახული უნდა იყოს:

1) ლიტერატურის მიმოხილვა (არ უნდა აღემატებოდეს საერთო მოცულობის 1/3-ს);

2) მეთოდები;
3) კვლევის შედეგები და მათი განხილვა.

საილუსტრაციო მასალები შეიძლება ინტეგრირებული იყოს როგორც ტექსტის ძირითად ნაწილში ასევე მიწოდებულ იქნეს დანართების სახით.

6. დასკვნა

დასკვნა წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის ნაწილს, რომელშიც აისახება ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები, მათი თეორიული მნიშვნელობა და პრაქტიკული ღირებულება, ასევე გამოყენების პერსპექტივები.

7. გამოყენებული ლიტერატურა

გამოყენებული ლიტერატურა წარმოდგენილი უნდა იქნეს ნაშრომში მოცემული განხილვის მიხედვით ან ანბანური თანმიმდევრობით (უკანასკნელ შემთხვევაში, ჯერ უნდა მიეთითოს გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ – უცხოურ ენებზე). სამეცნიერო ნაშრომის მითითებისას უნდა დასახელდეს ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, ნაშრომის სახელწოდება, სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება, წელი, ტომი, ნომერი, აგრეთვე სრული ვებ-მისამართი. წიგნის ან მონოგრაფიის მითითებისას უნდა დასახელდეს სახელწოდება, ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, გამომცემლობა, გამოცემის წელი.

8. დანართები (არსებობის შემთხვევაში)

დანართი უნდა იყოს დასათაურებული.

ტექსტის დაკაბადონების წესი:

1) ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;
2) შრიფტის სახე – Sylfaen;
3) ტექსტის შრიფტის ზომა – 11;
4) სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5 ინტერვალი;
5) ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი – 2.54სმ;
6) ნაშრომის მოცულობა, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე არ უნდა იყოს 30 გვერდზე ნაკლები.

აკინძული სამაგისტრო ნაშრომი დაცვაზე წარმოდგენილი უნდა იყოს 1 ეგზემპლიარად, ხოლო ელექტრონული ვერსია (PDF ან doc ფორმატი) აიტვირთოს სტუდენტური კონფერენციის ვებ გვერდზე.